ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი

მემორანდუმის დადების ადგილი: დაბა სტეფანწმინდა

მემორანდუმის დადების თარიღი: 2025 წლის 11 თებერვალი

მხარეები

ერთი მხრივ, შპს „ფენიქს ცენტრი" (ს/კ 405647787, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. მაჭავარიანის ქ., N6, ბინა 5) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან შარაშიძის (პ/ნ 01005023078) სახით (მემორანდუმს ხელს აწერს მინდობილი პირი გიორგი ღუდუშაური (პ/ნ 01001070985) (შემდგომში: **ცენტრი**) და

მეორე მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია ს/ნ 241499473; (მისამართი: დაბა სტეფანწმინდა, დავით აღმაშენებლის #36, მობ. ნომერი: +995 577 07 60 35) წარმოდგენილი ბაკურ ავსაჯანიშვილის (პ/ნ 44001001006) სახით, (შემდგომში: **მერია**)

„ცენტრი" და „მერია" ცალ-ცალკე წოდებულნი, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები";

1. მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანია ცენტრსა და მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება;

1.2. ცენტრისა და მერიის ურთიერთთანამშრომლობის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები ბენეფიციარებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ბავშვებსა და მოზარდებზე მორგებული პროგრამული და არაპროგრამული ფსიქოლოგიური სერვისები;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **მერია ვალდებულია:**

2.1.1. არ ჩაერიოს ცენტრის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს ცენტრს ფსიქოლოგიური სერვისები შესთავაზოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ ბენეფიციარებს;

2.1.2. დააფინანსოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები ბენეფიციარების სერვისები მემორანდუმის მე-4 პუნქტში აღნიშნული ვაუჩერული სისტემით;

მერია _____ ცენტრი _____

2.1.3. ცენტრი უზრუნველყოს სამუშაო რესურსებითა და ინვენტარით;

2.2. **ცენტრი ვალდებულია:**

2.2.1. მიაწოდოს ხარისხიანი პროგრამული და არაპროგრამული სერვისი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ ბენეფიციარებს (თუ მერია ვაუჩერული სისტემით არ დააფინანსებს ბენეფიციართა სერვისებს, ცენტრი ვერ მიაწოდებს ხარისხიან სერვისს ბენეფიციარებს);

3. ცენტრის სერვისები

ცენტრის სერვისების ჩამონათვალია:

- ლოგოპედის მომსახურება;
- ენისა და მეტყველების თერაპია;
- ქცევითი თერაპია;
- აკადემიური და კოგნიტური უნარების განვითარების თერაპია;
- ფიზიკური თერაპია;
- სენსორული თერაპია;
- ოკუპაციური თერაპია;
- არტ თერაპია;
- მუს თერაპია;
- ბავშვთა და მოზარდთა/მშობელთა ფსიქოლოგიური კონსულტირება;
- ნევროლოგის კონსულტაცია;
- ფსიქიატრის კონსულტაცია;
- ფსიქოლოგის კონსულტაცია;
- ვერბალური ქცევის კონსულტაცია;
- ვერბალური ქცევის შეფასება;
- ენისა და მეტყველების კონსულტაცია;
- სენსორული ინტეგრაციის შეფასება;
- აკადემიური და კოგნიტური უნარების კონსულტაცია;
- ფიზიკური რეაბილიტაციის კონსულტაცია;
- ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფური თერაპია;
- მშობელთა ჯგუფური თერაპია;
- აბილიტაცია-რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა;
- ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამა;

4. ... ბენეფიციარების დაფინანსება ვაუჩერული სისტემით

მერია _____ ცენტრი _____

4.1. მერია ვალდებულებას იღებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები ბენეფიციარები დააფინანსოს ვაუჩერული სისტემით ცენტრის მიერ განხორციელებული სერვისის მომსახურების შესრულების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ, მოთხოვნის თანავე;

4.2. თითო ვაუჩერი მოიაზრებს თვეში 800 (რვაასი) ლარს და მასში შედის 12 (თორმეტი) თერაპია;

5. მემორანდუმის ვადა

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5.2. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის ვადა განისაზღვრება მემორანდუმის დადებიდან 3 (სამი) წლის ვადით;

5.3. ვადის დასრულების შემდეგ მემორანდუმი შეიძლება კვლავ გაგრძელდეს იმავე ან განსხვავებული ვადით თუ რომელიმე მხარე, მემორანდუმის მოქმედების ძირითადი ვადის ამოწურვამდე 3 (სამი) თვით ადრე წერილობით აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმის ვადის გაგრძელების შესახებ (შემდგომში „დამატებითი ვადა"); მხარეებს ინფორმაცია უნდა ეცნობოთ მემორანდუმში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

5.4. მემორანდუმი დამატებით ვადაში გაგრძელდება იმავე პირობებით, თუ მხარეები წერილობით სხვა პირობებზე არ შეთანხმდებიან;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

6.1. თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის;

6.2. თითოეული მხარე ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად;

6.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა); აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები); სამოქალაქო მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), პანდემია და საგანგებო მდგომარეობა.

6.4. დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ;

7. მემორანდუმის შეწყვეტა

მერია _____

ცენტრი _____

7.1. არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი მისი ვადის ამოწურვამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი უფლება პირდაპირ არის გათვალისწინებული მემორანდუმით ან გამომდინარეობს კანონიდან;

7.2. მერიას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ცენტრი არ ჩაატარებს/ხარისხიანად არ ჩაატარებს მემორანდუმით გათვალისწინებულ სერვისებს.

7.3. ცენტრს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ:

ა) მერია ხელს არ შეუწყობს ცენტრს ჩაატაროს ხარისხიანი პროგრამული და არაპროგრამული სერვისები;

ბ) მერია არ დააფინანსებს ბენეფიციარებს ვაუჩერული სისტემით;

7.4. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს წერილობით უნდა აცნობონ წინამდებარე მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებულ ელ. ფოსტაზე, მემორანდუმის შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შეწყვეტის საფუძველი.

8. დამატებითი პირობები

8.1. ბათილია გარიგება ან თანხმობა, რომელიც დადებულია ან მიცემულია რომელიმე მხარის მიერ ნებისმიერი მესამე პირისათვის მეორე მხარის თანხმობის გარეშე, თუკი ამგვარმა გარიგებამ ან თანხმობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ან შეაფერხოს წინამდებარე მემორანდუმის შესრულება

8.2. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი გარიგების დადებით.

8.3. მემორანდუმის რომელიმე ნორმის/დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მემორანდუმის სხვა ნორმებისა და დებულებების ბათილობას. ამასთან, ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღება მემორანდუმით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.4. მემორანდუმის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და მას მემორანდუმის ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

8.5. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მემორანდუმით, „მხარეები“ იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

8.6. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. მემორანდუმის თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

მერია _____ ცენტრი _____

ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტი GEORGIA, Mun. OF KAZBEGI 241499473

ფას ფენიქს ცენტრი Phoenix Center PHOENIX CENTER 405647787

8.7. მემორანდუმს დართული აქვს მინდობილობა, რომლითაც დასტურდება რომ გიორგი ღუდუშაური (პ/ნ 01001070985) არის მინდობილი პირი. რეგისტრაციის ნომერი 231425680, ინდივიდუალური ნომერი 51136201742023;

9. მხარეთა რეკვიზიტები

მერია:	ცენტრი:
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ფენიქს ცენტრი“ (ს/კ 405647787),
ელ. ფოსტა:	ელ. ფოსტა: phoenixcenter23@gmail.com
kazbegimunicipality.info@gmail.com	მობ. ნომერი: +995555133321
	საბანკო ანგარიშები:
მობ. ნომერი:	GE94BG0000000600980175
577 07 60 35	GE98TB7953945067800005
საბანკო ანგარიში:	

მხარეთა ხელმოწერა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
GEORGIA MUNICIPALITY OF KAZBEGI
24149473

შპს ფენიქს ცენტრი
Phoenix Center
405647787
PHOENIX CENTER LLC

ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა ნეიროგანვითარების, რეაბილიტაციისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ვაუჩერი

კლასი 5. ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები

F70- F79 გონებრივი ჩამორჩენილობა

F80 – F89 ფსიქოლოგიური განვითარების დარღვევები

F90-F98 ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევისა და ემოციური აშლილობანი.

F84- განვითარების ზოგადი აშლილობანი

F84.0- ბავშვთა აუტიზმი

F84.2- რეტის სინდრომი

F84.5- ასპერგერის სინდრომი

F84.8- განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი

F84.9- განვითარების ზოგადი აშლილობა, დაუზუსტებელი

F71- საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი

F71.0- საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი

F71.1- საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.

F71.8- საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.

F71.9- საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა

კლასი 18. სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში

R47.0 დისფაგია და აფაზია R56.0 კონვულსიები ცხელების დროს

R48- დიზლექსია და სხვა სიმბოლური ფუნქციური დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

R45,8-სხვა სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება ემოციურ მდგომარეობას

R47.8- მეტყველების სხვა და დაუზუსტებელი დარღვევები

R56.8 დაუდგენელი და სხვა კონვულსიები

R62.0 განვითარების ეტაპების დაყოვნება

R62.8 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების სხვა დარღვევები

R62.9 მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების დარღვევა, დაუზუსტებელი

ბავშვთა ცერებრული დამბლა G 80

G 80.0 სპასტიური ცერებრული დამბლა

G 80.1 სპასტიური დიპლეგია G 80.2 ბავშვთა ჰემიპლეგია

G 80.3 დისკინეზური ცერებრული დამბლა

G 80.4 ატაქსიური ცერებრული დამბლა

G 80.8 ბავშვთა ცერებრული დამბლის სხვა სახეები (შერეული სინდრომები)

G 80.9 ბავშვთა ცერებრული დამბლა დაუზუსტებელი.

· სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომები G 12.

G 12.0 ბავშვთა სპინური კუნთოვანი ატროფია, ტიპი I (ვერდნიგ-ჰოფმანის)

G 12.1 სხვა მემკვიდრული სპინური კუნთოვანი ატროფიები: ბავშვთა პროგრესული ბულბარული დამბლა (ფაციო-ლონდეს) სპინური კუნთოვანი ატროფია: - მოზრდილთა ფორმა, - ბავშვთა ფორმა, ტიპი II - დისტალური - იუვენალური ფორმა ტიპი III (კუგელბერგ-ველანდერის) - სკაპალურ-პერონეული ფორმა

G 12.2 მოტორული ნეირონის ავადმყოფობა: მოტორული ნეირონის ოჯახური ავადმყოფობა გვერდითი სკლეროზი: - ამიოტროფული - პირველადი - პროგრესული - ბულბარული დამბლა - სპინური კუნთოვანი ატროფია:

G 12.8 სხვა სპინური კუნთოვანი ატროფიები და მონათესავე სინდრომები

G 12.9 სპინური კუნთოვანი ატროფია, დაუზუსტებელი.

· კუნთების პირველადი დაზიანებები G 71

G 71.0 კუნთოვანი დისტროფია

G 71.1 მიოტონური დაზიანებები

G 71.2 თანდაყოლილი მიოპათიები

G 71.9 დაუზუსტებელი

ჰემიპლეგია G 81

G 81.0 დუნე ჰემიპლეგია

G 81.1 სპასტიკური ჰემიპლეგია

G 81.9 ჰემიპლეგია დაუზუსტებელი

პარა და ტეტრაპლეგია, G 82

G 82.0 დუნე პარაპლეგია

G 82.1 სპასტიკური პარაპლეგია

G 82.2 პარაპლეგია დაუზუსტებელი

G 82.3 დუნე ტეტრაპლეგია

G 82.4 სპასტიკური ტეტრაპლეგია

G 82.5 ტეტრაპლეგია დაუზუსტებელი

კლასი 17. თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები

Q00.0 ანენცეფალია

Q01 ენცეფალოცელე (Q01.0- Q01.9)

Q02 მიკროცეფალია Q03.1 მაჟანდისა და ლუშკას ხვრელის ატრეზია

Q03.9 თანდაყოლილი ჰიდროცეფალია, დაუზუსტებელი

Q04.0 კორძიანი სხეულის თანდაყოლილი ანომალია

Q04.2 ჰოლოპროზენცეფალია

Q04.3 თავის ტვინის სხვა რედუქციული დეფორმაციები

Q04.4 სეპტურ-ოპტიკური დისპლაზია

Q04.6 თანდაყოლილი ცერებრული კისტები

Q04.9 თავის ტვინის თანდაყოლილი ანომალია, დაუზუსტებელი

Q05 Spina bifida (Q05.0- Q05.9)

Q06.2 დიასტემატომიელია

Q07.0 არნოლდ-კიარის სინდრომი

Q07.9 ნერვული სისტემის თანდაყოლილი ანომალია, დაუზუსტებელი

Q11.1 ანოფთალმის სხვა სახე

Q11.2 მიკროფთალმი

Q14.0 მინისებრი სხეულის თანდაყოლილი ანომალია

Q15.8 თვალის სხვა დაზუსტებული თანდაყოლილი ანომალიები

Q26.8 მსხვილი ვენების სხვა თანდაყოლილი ანომალიები

Q35.1 მაგარი სასის ნაპრალი, ცალმხრივი

Q35.3 რბილი სასის ნაპრალი, ცალმხრივი

Q35.5 მაგარი სასის ნაპრალი რბილი სასის ნაპრალით, ცალმხრივი

Q35.7 ნაქის ნაპრალი

Q35.9 სასის ნაპრალი, დაუზუსტებელი, ცალმხრივი

Q36.0 ტუჩის ნაპრალი, ორმხრივი

Q36.1 ტუჩის ნაპრალი, შუა

Q36.9 ტუჩის ნაპრალი, ცალმხრივი

Q37. სასის ნაპრალი ტუჩის ნაპრალთან ერთად (Q37.00 Q37.9)

Q43.0 მეკელის დივერტიკული

Q66.8 ტერფების სხვა თანდაყოლილი დეფორმაციები

Q67.3 პლაგიოცეფალია

Q68.8 სხვა დაზუსტებული თანდაყოლილი ძვალ-კუნთოვანი დეფორმაციები

Q71.6 კიბორჩხალის მარწუხისებრი ხელი

Q71.0 ზედა კიდურ(ებ)ის თანდაყოლილი სრული არარსებობა

Q72.0 ქვედა კიდურ(ებ)ის თანდაყოლილი სრული არარსებობა

Q73.0 დაუზუსტებელი კიდურ(ებ)ის თანდაყოლილი არარსებობა

Q73.1 ფოკომელია, დაუზუსტებელი, კიდურ(ებ)ის

Q73.8 დაუზუსტებელი კიდურ(ებ)ის სხვა რედუქციული დეფექტები

Q74.3 თანდაყოლილი მრავლობითი ართროგრიპოზი

Q74.8 კიდურ(ებ)ის სხვა დაზუსტებული თანდაყოლილი ანომალიები

Q75.1 ქალა-სახის დიზოსტოზი

Q75.4 სახე-ქვედა ყბის დიზოსტოზი

Q76.4 ხერხემლის სხვა თანდაყოლილი ანომალიები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სკოლიოზთან

Q77.0 აქონდროგენეზია

Q77.1 სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაბალი აღნაგობა

Q77.3 წერტილოვანი ქონდროდისპლაზია

Q77.4 აქონდროპლაზია

Q77.5 დისტროფიული დისპლაზია

Q77.8 სხვა ოსტეოქონდროდისპლაზია ლულოვანი ძვლებისა და ხერხემლის ზრდა-განვითარების დეფექტებით

Q77.9 ოსტეოქონდროდისპლაზია ლულოვანი ძვლებისა და ხერხემლის ზრდა-განვითარების დეფექტებით, დაუზუსტებელი

Q78.0 არასრული ოსტეოგენეზი

Q78.1 პოლიოსტური ფიბროზული დისპლაზია

Q78.9 ოსტეოქონდროდისპლაზია, დაუზუსტებელი

Q79.0 თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი

Q79.3 გასტროშიზი

Q79.4 „ჩამოვარდნილი მუცლის" სინდრომი

Q79.6 ელერს-დანლოს სინდრომი

Q80.4 ნაყოფის იქთიოზი [„ნაყოფი-არლეკინი"]

Q80.8 სხვა თანდაყოლილი იქთიოზი

Q82.1 პიგმენტური ქსეროდერმა

Q85.0 ნეიროფიბრომატოზი (არაავთვისებიანი)

Q85.1 ტუბეროზული სკლეროზი

Q85.8 სხვა ფაკომატოზები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

Q86.0 ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი (დიზმორფია)

Q87.0 თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები უპირატესად სახის დაზიანებით

Q87.1 თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები დაკავშირებული უპირატესად ქონდარა ზრდასთან

Q87.2 თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები უპირატესად კიდურების დაზიანებით

Q87.3 თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები, გამოხატული გიგანტიზმით

Q87.4 მარფანის სინდრომი

Q87.8 სხვა დაზუსტებული თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

Q89.7 მრავლობითი თანდაყოლილი ანომალიები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

Q89.8 სხვა დაზუსტებული თანდაყოლილი ანომალიები

Q89.9 თანდაყოლილი ანომალიები, დაუზუსტებელი

Q90 დაუნის სინდრომი (Q90.0- Q90.9)

Q91 ედვარდსის სინდრომი და პატაუს სინდრომი (Q91.0 – Q91.7)

Q92 აუტოსომბის ნაწილობრივი ტრისომიები და სხვა ტრისომიები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q92.0- Q92.9)

Q93 აუტოსომების მონოსომიები და დელეციები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q93.0- Q93.9)

Q95 ბალანსირებული გარდაქმნები და სტრუქტურული მარკერები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q95.0 – Q95.9)

Q96 ტერნერის სინდრომი (Q96.0 – Q96.9)

Q97 სასქესო ქრომოსომების სხვა დარღვევები, ქალის ფენოტიპი, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q97.0 – Q97.9)

Q98 სასქესო ქრომოსომების სხვა დარღვევები, კაცის ფენოტიპი, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q98.0 – Q98.9)

Q99 სხვა ქრომოსომული დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q99.0 – Q99.9)